№ 97 19 მაისი, პარასკევი 1866–1878 19 მაისი, პარასკევი № 97

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тиф. лисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 16 მაისს. „Daily Telegraph"-ში იწერებიან, რომ მინისტრების კრება შეადგენს დღეს ინსტრუქციას (დარიგებას) ინგლისის წარმომადგენელისათვის კონგრესზე.

მომავალ ბოლგარიის სამთავროს სამზღვრები ნახევარზე უფრო ცოტა არის შემცირებული. მომეტებული ნაწილი სომხეთისა, რომელიც, სან-სტეფანოს პირობის ძალით, რუსეთს უნდა დარჩენოდა, ისევ ოსმალეთს დარჩება. დაწყებულია მოლაპარაკება აგრეთვე ომის ხარჯის (კონტრიბუციის) რომელიც რუსეთს უნდა აელო ოსმალეთისაგან.

საქართველო

ქუთაისის ბანკის კრებები

მეორე სხდომა 15 მაისს

თავმჯდომარემ მოახსენა საზოგადოებას, რომ მან უნდა განიხილოს ახალი დარიგება დამფასებელი კომმისსიისა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ დაფასების დროს. დამფასებელთ რიცხვი აქამდის შვიდი კაციაო. საზოგადოთ მადლიერნი ვართ დამფასებლებისაო: კარგათ მოქმედებენო. მაგრამ მათ კარგ მოქმედებასთან საჭიროა ბანკს საკუთარი მიწის-მზომელი ეყოლოსო; უძლიდა ბანკს ზოგიერთ შემთხვევებში საკუთარი მიწის-მზომლის უყოლობა. ბანკმა უნდა მოიპოვოს აგრეთვე მიწის-მზომელისათვის საჭირო იარაღებიო. გარდა ამისა პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ შვიდი დამფასებელი საჭირო არ არისო.

ეს იყო დამფასებელი კომმისსიის დარიგება, რომლითაც აქამდის ხელმძღვანელობდა ბანკი; ახლა შეცვლილი ზედამხედველი კომიტეტისაგან რამდენსამე პარაგრაფში, უნდა განეხილა საზოგადოებას. ზოგიერთების ჰაზრი იყო, რომ ეს დარიგება წაეკითხათ საზოგადოებისათვის, ის პარაგრაფები მაინც, რომელნიც ახალნი იყვნენ, და დანარჩენებს არ შეეხებოდნენ; ზოგი კი იმას ამბობდა, რომ სულ წავიკითხოთ წესდება, დავნიშნოთ, რომელი პარაგრაფიც განსჯას მოითხოვს, და შემდეგ დავამტკიცოთო.

უ. პ. თუმანიშვილი. თუ კი გუშინ მილიონის საქმე დაწვრილებით არ განიხილეთ და დაამტკიცეთ, რატომ არ შეიძლება ესეც ისე დაამტკიცოთ? ეს უფრო ადვილი არ არის?

უ. ირაკლი ლორთქიფანიძე. მე სწორეთ ვერაფერს დავამტკიცებ, სანამდის არ განვიხილავ..

ჯერ წაიკითხეს საზოგადოთ მთელი დარიგება დამფასებელი კომმისსიისა, დაჰნიშნეს სადაო პარაგრაფები და შემდეგ შეუდგნენ ცალ-ცალკე ამ პარაგრაფების განხილვას.

ხანგრძლი ბაასი გამოიწვია იმ პარაგრაფმა, რომელშიაც მოხსენებულია, რომ დაფასებაში შევიდეს მარტო ვარგისი მამული, უვარგისი არ იქნეს დაფასებული და აგრეთვე არც ის მიწები დაიფასონ, რომელიც გლეხებსა აქვთ გრამატით ბატონებისაგან; ამ გვარი მიწა, მყოფი გლეხის სარგებლობაში, არ შეადგენს სრულს კუთვნილებას ბატონებისასო, ჰსთქვეს, და თუ ის ბატონის სრულ კუთვნილ მიწებში ჩართულია მდებიარობით, მაშინ ის აღწერაში კი შევა, მაგრამ ფასოვნებას არ იქონიებსო, მხოლოთ მოუმატებს ფასოვნებას იმ სრულ კუთვნილებას ბატონისას, რომელთანაც შეკავშირებული არისო.

უ. ირ. ლორთქიფანიძე. მიწები, რომელნიც გლეხებთა აქვთ განთავისუფლებითის წესდებით, შეადგენენ ჩვენს სრულს კუთვნილებას. ჩვენ გვაქვს სიმართლე, რომ ამისთანა მიწა ვაყიდვინოთ ჩვენგან ხაზინას და მოვსთხოვოთ მასში დადგენილი ფასი. თუ კი ეს ასეა, რატომ ბანკი არ მიიღებს ამისთანა მიწებს და არ დააფასებს ისე, როგორც სხვა მიწას მებატონისას? რათ უნდა ჩავურთოთ დაფასების დარიგებაში ისეთი სიტყვები, რომელნიც უარჰყოფენ ჩვენს სრულ სიმართლეს ნახსენებ მიწაზე? თუ კი ამისთანა მიწები ვერც გავყიდეთ, ვერც დავაგირავეთ, მაშ რა სარგებლობა უნდა ვნახოთ ბანკისაგან, როცა ბევრ აზნაურს ამისთანა მიწები უფრო ბევრი აქვს? ბანკიც ჩვენია, ის მიწებიც ჩვენია, ვის რა ხელი აქვს, რატომ არ დაიგირავებს ბანკი?

ამაზედ პასუხათ ეუბნებოდენ, რომ ამისთანა მიწები სრულს კუთვნილებას არ შეადგენენ მებატონისას, რადგანაც ამ შემთხვევაში მებატონის უფლებასთან გლეხის სიმართლეც შეკავშირებულიაო, და თუ ბანკი მას მიწებს ისე ვერ მოიხმარს, როგორც სრულს კუთვნილებას, რომელიც განუსაზღვრელია, ბანკი ზარალში შევა, რომ მაგისთანა მიწები დაფასებაში შეიყვანოსო.

უ. გ. დოლაბერიძე. არც სხვა საადგილ-მამულო ბანკები ჰღებულობენ გირაოთ გლეხებზედ მიცემულ მიწებს მებატონეებისაგან, და ეს მოჰხდა ასე მმართებლობის ნებით. კრედიტის კანცელარია არ ამტკიცებს ამისთანა მიწებში მიცემულ სესხსაო, (უჩვენა მაგალითი: თავადი კ. დადიანის საქმე, რომელსაც ამ მიზეზით დაბრკოლება მიეცაო; მის სესხს დაუკლეს, რადგან ამისთანა მიწები ერია მის მამულშიო); მმართებლობაც არ დათანხმდება ამაზე და არც არის თანახმა, ჩემი ჰაზრითო, მიტომ, რომ მებატონეებსა და გლეხებს შუა საქმის გაწმენდის დასაბრკოლებელი იქნებაო.

უ. ირ. ლორთქიფანიძის სურვილი იყო, რომ გლეხებზედ მიცემული მიწების შესახებ არავითარი გამორიცხვა ყოფილიყოს პარაგრაფში, ჩაეთვალათ ეს მიწები თანასწორათ სხვა მიწებთან, ეთხოვათ მართებლობისათვის, რომ ამ ორგვარი მიწების გათანასწორების უფლება მოენიჭებია, და თუ უარს მიიღებდნენ და სესხი არ დაიმტკიცებოდა ამისთანა მიზეზით, მერმე შეეტანათ დამფასებელი კომმისსიისათვის დარიგებაში ეს გამორიცხვა. სხვებმა უპასუხეს, რომ ეს საქმე დარჩეს, როგორც დარიგებაშია, და ცალკე ჰსთხოვონ მმართებლობას იმ მიწების გათანასწორება, რადგანაც ცხადისა და გარკვეულის დარიგების ქონება დამფასებელი კომმისსიისათვის საჩქაროთ საჭიროა და მიწების გათანასწორების საქმე კი ასე მალე არ გადაწყდება (ამათ იჭვიც გამოჰსთქვეს, რომ მმართებლობა უყურადღებოთ დაჰსტოვებს ჩვენს თხოვნასაო). მაგრამ უ. ირ. ლორთქიფანიძე თავის ჰაზრზე იდგა. ნუ ვღებულობთ იმისთანა წესს, რომელიც ჩვენ უფლებას ამცირებსო, თვითონ ჩვენ რათ ვშვრებით ამასაო:

დიდი ხრიალი შეიქნა, აირივ-დაირივნენ. შეიქნა გაცხარებული ბაასი. როგორც ეტყობოდა, უმეტესობა წინაამდეგი იყო უ. ირ. ლორთქიფანიძის ჰაზრისა; ბევრი იძახოდა, დარჩეს, როგორც დარიგებაში დაუწერია ზედამხედველ კომიტეტსაო. თუ კი არ დაგვიმტკიცებენ მაგნაირ სესხს, რათ გვინდა მაშინ მაგისთანა დაფასების დარიგებაო?

თავმჯდომარეს უნდოდა უმეტესობის სიტყვით გამოთქმული სურვილისამებრ

რეზოლიუცია დაეწერა, მაგრამ უ. ირ. ლორთქიფანიძემ ჰსთქვა, რომ მე მარტო არ გეგონოთ ჩემის ჰაზრის გატარების მსურველი; კენჭი მიიტათ და ნახავთ, რომ ჩემსკენ ბევრიაო. დაადგინეს კენჭით გადასაწყვეტლათ ორი ჰაზრი:

ა) დარჩეს ისე, როგორც დარიგებაშია მოხსენებული, რომ გლეხებზე მიცემული მიწა თანასწორ სხვებისა არ დაჰფასდეს და

ბ) გლეხებზე მიცემული მიწა დაიფასოს.

მიღებულ იქმნა პირველი ჰაზრი 57 ხმით წინაალმდეგ 18 ხმისა.

უვარგის მიწათ ჩაჰსთვალეს ისეთი, რომელსაც არავითარი სარგებლობის მოცემა არ შეუძლიან. ზოგიერთებმა ჰსთქვეს, რომ არც ჭაობები და კლდეები ჩაითვლებიან სრულიათ უსარგებლოთო. ჭაობებში ზამთარში გარეული იხვები და ბატები ჰჯდებიანო, რომელთაც ვხოცავთო, და საჭილობე მცენარე ამოდისო (დაავიწყდათ, იქნება წურბლებიც ჰყავდეთ იქ სადმე) და კლდეზე თხები იბალახებენო.

ბოლოს თავმჯდომარემ მოახსენა კრებას დამფასებლებთათვის ჯამაგირის მომატება, გადაჰსწყვიტეს, რომ დამფასებელს ჯამაგირი მოემატოს 800 მანეთამდის, რიცხვი დამფასებლებისა იქნეს 6, შვიდის მაგიერ. გადაჰსწყვიტეს აგრეთვე ბანკისათვის საკუთარი მიწის მზომელის შოვნა, რომელსაც ჯამაგირი უნდა ექნეს 1,700 მან.; 250 მანეთი გადადვეს მისთვის საჭირო იარაღების მოსაპოებლათ.

ა. ჭ.

ქუთაისი, 16 მაისი

დღიური

*** ავათმყოფობის გავრცელება, როგორც ეტყობა, ძალიან აშინებს ამ ზაფხულში ჩვენი ქალაქის მხოვრებთა: ვინც არ გინდათ, წელს ყველა სოფლებში და დაჩებზე მიდიან. განსაკუთრებით ბევრი ემზადება აბასტუმანში და ბორჯომში წასვლას; კოჯორში, როგორც ამბობენ, ყველა სახლები უკვე დაჭერილია.

*** ის საშინელი წვიმა და ქარიშხალი, რომელიც გასულ დღეებში იყო ქალაქში, კავკასიის სხვა ადგილებშიაც ყოფილა. გუშინდელს ნომერში წაიკითხავდით ქიზიყიდამ გამოგზავნილს კორრესპონდენციას თუ როგორი წვიმა ყოფილა იქითკენ ამ თვის ათს. ახლა ახალციხიდამ გვწერენ, რომ იქითკენაც 14 მაისს საშინელი წვიმა და სეტყვა ყოფილა და ბორჯომის ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებისათვის ბევრი ზიანი მიუცია.

*** ყვავილის ავათმყოფობა ჰკლებულობს ქალაქში.

*** გაზეთი „ობზორი“ გვაცნობებს, რომ ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის სამს წევრს: უფ. ლ. ლოლუას, ლ. ასათიანს და დ. ბაქრაძეს მიუტოვებიათ თანამდებობა. ერთი ამათგანი უფ. ლუკა ასათიანი, თავად-აზნაურობის თხოვნით, ერთის წლის ვადით კიდევ დარჩენილა კომიტეტის წევრად. მიზეზს იმას ამბობენ, რომ გამოსულ წევრებს არ მოსწონთ ბანკის წესდებაო და გამგეობა არღევს ამ წესდებას[illegible] ამათ მაგიერად ამოურჩევიათ უ.უ. დ. [illegible] და თ. ფალავა.

კიდევ ორიოდე სიტყვა „ობზორს“

რასაკვირველია, რომ „ობზორმა“ ჩვენი „შენიშვნა“ შეუნიშნავად არ დააგდო. ეს ყველასაგან ცნობილი თვისება უფ. ნ. ნიკოლაძისა: რაც უნდა მტყუანი იყოს რაც უნდა აშკარად, ცხადათ დაუმტკიცო იმას, რომ სცდება, რომ სტყუის, ის მაინც თავისას არ მოიშლის, მაინც ისვრის სიტყვებს, ფრაზებს იმ მოსაზებით, რომ ვისაც თავიდამვე ჩვენი გაასისათვის თვალ-ყური არ უდევნებია, ვისაც ჩემი მოწინაალმდეგის პასუხი არ წაუკითხავს, ის სანახევროდ მაინც დამიჯერებს და მე მცნობს მართლადაო. . . .

ჩვენ ვთვით, რომ „ობზორი“ თავის თავს, თავისგნით გამოთქმულს ჰაზრს ეწინააღმდეგება, როდესაც ურჩევს ჩვენი ბანკების გირაოს ფურცლების პატრონებს, რომ არ გაჰყიდონ აჩქარებით თავის ფურცლები, რადგან ამ ფურცლებს კარგი ფასი აქვსო. ვთქვით იმიტომ, რომ უ. ნ. ნიკოლაძე მუდამ დღე ჩაგვძახის:—ჩვენი ბანკები იღუპებიან, იმათი გამგებელნი მუდამ წესდებას არღვევენ და საქმე ისე მიდის, რომ დღეს-ხვალ უბედურობას უნდა მოველოდეთ ამ ბანკებისასო.

ჩვენ შევნიშნეთ უფ. ნიკოლაძეს, თუ, თქვენის აზრით, ასე მიდის საქმე, მაშ

ფელტონი

ქუთაისის ბანკის წევრთ მეორე ჩვეულებრივი კრება

მოიგონეთ შარშანდელი აპრილის თვე, თუ რა ანბავი იყო ქუთაისში; თითქმის მთელი ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა იყო შეკრებილი ბანკის დასაარსებელათ; მოიგონეთ ამ თავად-აზნაურობის მაშინდელი სხდომები; მოიგონეთ, რა ამბავით, რა ვაი-ვაგლახით, რა შეხეთქილობით, დააარსეს ამ კეთილ-შობილთა ბანკი.

ესენი ყველაფერი რომ მოიგონოთ და შემდეგ ამისა, დღეს შემობრძანდით ამ თავად-აზნაურობისავე ბანკის შესახებ მეორე საზოგადო კრებაზე, იტყვით თუ ეს რა ანბავიაო?! გაგიკვირდებათ თუ რა იქნა ის მოწადინეობა და გულ-მხურვალება, რომლითაც ამ თავად-აზნაურთა დასაბამი დაუდვეს თავის ბანკს.

რა განსხვავებაა!—პირველ კრებაზედ ათას ორასამდინ თავად-აზნაურობა იყო და დღეს კი სამოც-და-ათამდე ძლივს მოიყარა თავი.

გაგრილდა გული ისე უცბათ, როგორც უცბათაც ანთებულა.

ბანკის მმართველობა იძახის:

— მობრძანდით, ბატონებო, და მოისმინეთ იმ ფულის წარმოების ანგარიში, რომელიც თქვენ მოგვანდევით!

თავად-აზნაურობა უპასუხებს:

— როგორც გიწირავთ, ისე სწირეთ! თუ სიკეთეს იზამთ და მაგ ფულებს ჩვენ და ჩვენს შვილსა და ძირსაც მოახმართ, ხომ კარგი, თუ არა და ღმერთმა მშვიდობა მოგცესთ!

ვილაცას, ამას წინეთ, როდესაც 26-ს აპრილს მოწვეული კრება არ შემდგარა, ჩვენს ბულვარში უხუმრია:

მე რომ ბანკის მმართველობა ვიყო, ერთს ათას მანეთს ავილებ ბანკის წარსული დროს მოგებიდამ, გაუკეთებ ამ ფულით სადილს ბანკის წევრთ თავად-აზნაურობას და მაშინ ნახავდით—თუ ისინი არ შეიკრიბებოდნენ!

მართალია, ამის მთქმელს „ხუმრობა“ და სიცილი ძრიელ ჰყვარებია, მაგრამ ამის თქმის დროს მას ის თავად-აზნაურობა ჰყოლია სახეში, რომელლიც ყოველა სამის წლის განმავალობაში იკრიბება ხოლმე მარშლების ამოსარჩევათ.

ერთის სიტყვით, არ მოვიდა თავად-აზნაურობა, სოფლის ხალხი, რომლისთვისაც და რომლის ფულითაც ბანკი დაარსებულია და რა ვქნათ ეხლა! დღეს 14 მაისია, პირველი სხდომა უნდა მოხდეს უთუოთ, თუ გინდ ხუთი წევრიც არ მოვიდეს.

ათი საათიდამ იწყო საზოგადოება შეკრება. მოდის და მოდის! პირველ საათზე ტევა აღარ არის ზალაში, სადაც კრება იყო დანიშნული. ბანკის მდივანი და ორი მისი თანაშემწენი ერთს გაწა-მაწიაში არიან—ცნობაში მოჰყავთ მოსული წევრების ანგარიში. წევრებს ეძებენ „სიებში.“ წევრათ ცნობილ პირს ცალკე სიაზე აელს აწერინებენ, აქვე ვექილობას არდგენენ და სხვ.

ზალაში ადგილი აღარ არის! დღეს მხოლოდ ერთმა მანდილოსანმა გვცა პატივი,-აგერ ზის „დროების“ რეპორტერთან. . .

ზალა წარმოადგენს: „წითელი ჯვრის საზოგადოების“ სამკაულებით მორთულს ოთახს, სადაც ამავე საზოგადოების სასარგებლოთ წარმოდგენაებისათვის სცენა არის გამართული. სცენა სცენად დარჩენილია; ზედ ორი სტოლი დგა ერთი ფართო და გრძელი ზედამხედველი კომიტეტისათვის, მეორე

კარგს შერებიან ბანკების ფურცლების პატრონები, რომ ჰყიდიან ამ თავის ფურცლებს-მეთქი, რადგან ამ ბანკებს თუ მართლა ღალუპვა მოელის, მაშინ ვინ იცის, იქნება ნახევარ, მეოთხედ ფასადაც ველარ გაჰყიდიან-მეთქი.

რას ამბობს უ. ნ. ნიკოლაძე ამ ცხადი ჭეშმარიტების წინააღმდეგ? როგორ გგონიათ—გატყდა ის და აღიარა თავის მოსაზრების აშკარა შეცდომა? რასაკვირველია, რომ არა. უფ. ნიკოლაძე ისეთი კაცი არ არის, რომ გულწრფელად, აღიაროს თავისი შეცდომა.

აი რას ამბობს ის ახლა:

„ჩვენ ჩვენს დღეში არ გვითქვამს, რომ ჩვენი ბანკები დაიღუპებიან (?). საადგილ-მამულო ბანკი თავის დღეში არ დაიღუპება, თუ ის მტკიცედ ასრულებს თავის წესდებას.“

როგორ მოგწონთ? მგონია ყველასთვის ცხადი ჰაზრია: თუ საადგილ-მამულო ბანკი მტკიცედ ასრულებს თავის წესდებას, თავის დღეში არ დაიღუპება. თუ მტკიცედ ვერ ასრულებს ამ წესდებას, დაიღუპება. ჩვენი ბანკების გამგებელნი მტკიცედ ვერ ასრულებენ თავიანთ წესდებას, მაშა სადამე იმათ დაღუპვა მოელის. და თუ იმათ დაღუპვა მოელის, მაშ კარგათ შერებიან ამ ბანკების გირაოს ფურცლების პატრონები, თუ ცდილობენ თავიანთ ფურცლების გასაღებას.

მეორე გარემოება, რომელზედაც ჩვენ გვებაასება უფ. ნიკოლაძე, გახლავთ ის, რომ მიწა და იმის წარმომადგენელი საადგილ-მამულო ბანკების გირაოს ფურცლები, არ ჰკლებულობს ფასსაო, როგორც ოქროო, იმის-და-შედარებით ძხოლოთ ქალალდის ფული (ასსიგნაცია) კლებულობს ფასსაო.

ჩვენ მოვახსენეთ ჩვენს გამოჩენილ პოლიტიკო-ეკონომისს, რომ ეს ესე უნდა იყოს-მეთქი, თეორიით ესეა-მეთქი, მაგრამ პრაქტიკაში კი ხშირად ასე არ ხდება. დასარწმუნებელად (თუ კი შეიძლება უფ. ნიკოლაძის რასშიმე დარწმუნება) ჩვენ ის უბრალო გარემოება მოვიყვანეთ, რომ ამ ჟამად, თუმცა ქალალდის ფულის ფასი თითქმის სანახევროდ დავარდა, თუმცა ხუთ მანეთიან ოქროში რვა მანეთ ნახევარს ქალალდის ფულს ვაძლევთ, მაგრამ გირაოს ფურცლების ფასმა, თუ არ დაიკლო, არ მოიმატა. მოგეხსენებათ, რომ ამ ომიანობის განმავალობაში რუსეთის ყველა ბანკების ფურცლებმა 3%, 5% და ზოგმა მეტიც დაიკლო; მოგეხსენებათ, რომ ამ წინაზედ, ომიანობამდინ, თფილისის საადგილ-მამულო ბანკის ფურცლები 93—94 მანეთად ისყიდებოდა პეტერბურღის ბირჟაზე და ახლა კი 90 მანეთათაც ძელიეს ათასში ერთხელ საღდება.

ეს არის საბუთები.

რაც შეეხება იმას, რომ „დროება“ არ ამხილებს საზოგადოებას ჩვენ ბანკების წესდების დარღვევასაო, რომ ის ამ უკანასკნელ დროს „ვერ ასრულებს თავის მოვალეობასაო“,—ეს ადვილად გასაგებია:

რასაკვირველია, რომ, თუ უფ. ნიკოლაძეს მიეღო ამ გაზეთში თავის ბრწყინვალე მონაწილეობა, თუ „დროებაში“ ყოფილიყო იმის ჩინებული სტატიები, ისეთი სტატიები, როგორებიც ხშირად იმის „ოპზორში“ იბეჭდება, (მაგ. ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებზე“ ბესსარაბიის შესახებ, ციმბირის რკინის გზაზე და სხვ. და სხვ., მაშინ „დროება“ გონიერი, საზოგადოების წარმატების გზაზე დამყენებელი, ქვეყნის თვალი, განათლებულ ევროპისათვის სამაგალითო გაზეთი იქნებოდა (ისე, როგორც ახლა იმის „ოპზორია“) და სხვ. და სხვ. მაგრამ, რადგან ის არ ილებს „დროებაში“ მონაწილეობას, ამიტომაც ილუპება, ამიტომაც ის „თავის მოვალეობას ველარ ასრულებს!..

უკანასკნელი სიტყვა უფ. ნიკოლაძეს. ის ამბობს:

„უფ. მესხს მადა მიეცა (разохотился) ჩვენი ვითომ—შეცდომების გამოაშკარებისა, ალბათ, იმიტომ რომ ერთხელ იმას შერჩა ამ ჩვენი ვითომ-შეცდომების ჩვენება, როდესაც ჩვენ ლონის-ძიება მოსპობილი გვქონდა პასუხის მიცემისა. მაგრამ ახლა, სანამ იმას ეს კითხვაც არ დაუყენებია ჯერ ისეთს ნიადაგზედ, სადაც ჩვენ არ შეგვეძლება გაუოლა და სადაც ის იფარავს თავს იმით, რომ არ შეუძლიან გამოთქვას ;ველაფერი, რაც სათქმელი აქვს, ჩვენ დაუმტკიცებთ იმას, რომ ჩვენი შეცდომების გამოაშკარებისათვის, სურვილს გარდა, კიდევ სხვ, რამეც არის საჭირო“.

როგორ ნათლად სჩანს ტრაბახა-ნიკოლაძე ამ უკანასკნელ სიტყვებში! და როგორ ნათლად სჩანს ფრაზების მოიმედე

ვიწრო და მოკლე—ბანკის მმართველობისათვის. სცენასთან ერთი დიდი სტოლია, რომელზედაც კენჭის საყარი ყუთი სძევს და იქვე გრაფინით წყალი, და მისი მოწყობილობა; მარჯვნივ კათედრა ორატორებისათვის, მარცხნით პატარა სტოლი „პატარა დროების“ პატარა რეპორტერისათვის. ამ სტოლის უკანაც დგას სკამი, რომელზედაც, როგორც მოგახსენეთ, ზის ერთად ერრი მანდილოსანი.—ეს არის ზალის მორთულობა.—

ნაშუადღევის პირველი საათია. ყველანი თავიანთ ადგილზე სხედან. სცენაზე მარტო ზედამხედველი ქომიტეტი. ბანკის მართველობის სტოლის გარეშემო მხოლოდ ცარიელი სკამები აწყვია; კათედრასთან ხანდისხან ამოჰყოფს თავს ბანკის მმართველობის თავმჯდომარე.

ისმის ზარის ხმა (და არა რაწკუნი), იმ ზარის ხმა, რომელიც უ. ლოლობერიძეს განგებ ჩამოუტანია ჩვენი კრებებისათვის პეტერბურღიდამ. — ზალაშ სიმყუდროვე დამყარდა.

ზედამხედველი ქომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს: სხდომა გაიხსნაო და რომ პირველი საგანი, რომელზედაც სჯა იქნება, არის ინსტრუქცია საზოგადო კრებაზედ საქმეების წარმოების შესახებ.

ამ ინსტრუქციას, ქართულად თარგმნილს „სა“ „სა“ და „თა“ „თა“-ნის შემწეობით, თავმჯდომარის წინადადებით, კითხულობს უფ. დ. ბაქრაძე, წევრი ქომიტეტისა. ამ წაკითხვით ჩვენ სხვათა შორის ის შთაბეჭდილებაც გამოვიტანეთ, რომ, როდესაც ბაქრაძემ ინსტრუქციის იმ მუხლზე მიატანა, რომელშიაც მოხსენებული იყო კრებაზედ წესიერების დაცვა, ეს მუხლი იმან ერთობ გარკვევით და ხმა-მაღლა წაიკითხა;—აკლდა დამატებინა მხოლოდ ერთი სიტყვა: „გახსოვთო!“ ერთის ჭაპანწყვეტით, როგორც იქნა, ჩაარიკ-რიკა უ. ბაქრაძემ ინსტრუქცია.

თავმჯდომარე: —რას გვიბრძანებთ, ბატონებო?

ბ. ლოლობერიძე: (პირველს წყებაში ზის. იქით-აქეთ მჯდომთ ერთი ხელი ერთს უჯლიქვა, მეორე მეორეს და წამოიძახა:) მივიღოთ, დავამტკიცოთ!

ბაცი ხმას არ ილებს. ზალაში სიჩუმეა.

თ. ი. ერისთავი.—მე, ბატონო, ჩემ და თავათ ერთი შენიშვნა მაქვს მოსახსენებელი მაგ ინსტრუქციაზე: მანდ სწერია, ბატონო, რომ სხვა დაწესებაების საზოგადო კრებებს ჩვენც მივბაძოთ და ჩვენს კრებაზე იარაღით შემოსველა აღიკრძალოსო. ვერ შე ნუ მომიკვდე, მაგას ვერ ვიქ! იარაღი მეფეს არ აუყრია ჩვენთვის კალმით მოსობილი ორიოდე სიტყვა როგორ აგვყრის?! მე, ბატონო, საჩხუბრათ არ გხლებივარ აქანა, და ვინც საჩხუბრათ მოსულა, იარაღი ახადოთ კიარა, სუნთლათ იარაღით გვიყვანეთ გარეთ!

ზალაში სიცილია. ისმის ზარის ხმა. ზალაში სიჩუმეა.

ს. ლულაძე. მე უნდა მოგახსენოთ, რომა (არ-იქა, სოლომან! ისმის ხმა.), ეგ წინადადება ძლიერ ჭკუაში მოსასვლელია, მაგრამ ეხლა მაგის აღსრულება არ შე-ძლება, რადგან აქ ცალკე ოთახი არ არის, რომ იარაღი აიხადონ და შეინახონ; შემდგისატვის იყოს. დიახ! შემდეგისათვის იყოს. დიახ! (არ-იქნა, სოლომან! ისმის ხმა).

ამ საგანზე კერძოთ მოსალაპარაკებლათ, თავსჯდომარე კრებას ათი მინუტით შასწყვეტს.

სწრაფია

(გაგრძელება)

პოლ ემიზატორი-ნიკოლაძე პირველ სიტყვებში!

გაიხსენეთ, უფ. ნიკოლაძე, ჩვენი წინანდელი საბაასო საგანი, გაიხსენეთ—ვის, რას ამოეფარეთ თქვენ მაშინ ზურგს უკან, ვინ გყავდათ თანამოზიარე თქვენს ქადაგებაში, თანამოაზრე თქვენს მსჯელობაში და, თუ კიდევ ერთი ნატამალიც არის სიმართლის გრძნობა შეგრჩენიათ, უეჭველია, თქვენს ზემოხსენებულს სიტყვებზე იტყვით ქართულ ანდაზას: „ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო!“

ს. მ.

ომის ამბები

ომის შემდეგ

ერთს იტალიურს გაზეთში იწერებიან, რომ იტალიის ახლანდელ სამინისტროს თავსმჯდომარეს—კორტის—ჰქონდა ლაპარაკი გერმანიის ელჩთანაო და ამ უკანასკნელმა სთქვაო, რომ გერმანიას ძალიან მოსწონს ინგლისის მხრით ასეთი ენერგიული და მარჯვე პოლიტიკაო, რადგან რუსეთი იძულებული იქნებაო, რომ შეამსუბუქოს სან-სტეფანოს მორიგების პირობა, რომელიც ერთობ დამამცირებელი არის ოსმალეთისთვისაო.

—

სტამბოლიდამ იწერებიან, რომ ოსმალეთის სამხედრო ფლოტი 2-ს მაისს შეუერთდა იზმიდში გაჩერებულ ინგლისის ფლოტსაო და ეს ფლოტი ემორჩილება ინგლისის ადმირალს გორნბისაო

—

გაზეთს „Indép. Belge“-ში დაბეჭდილია მალტის კუნძულიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის დამწერი გვაცნობებს, რომ 27 აპრილს იქ მისულან რამდენიმე ხომალდით ინდოეთიდამ გამოგზავნილი ინგლისის ჯარები. სალდათებს ძალიან მხნე შეხედულობა აქვთ თურმე, კარგათ არიან დაიარაღებულნი, თეთრი მუნდირები აცვიათ, თავზე წითელი ფესი ახურავთ, და თვითონ კი სპილენძის ფერი არიან.

—

მოგეხსენებათ, რომ ერთი სარდალთაგანი ოსმალოს არმიისა—სულეიმან-ფაშა სამხედრო სამართალში არის მიცემული, რადგან იმას სახელმწიფო ღალატს აბრალებენ. ამბობენ, იმას მოსყიდული ჰყვანდა ხონთქრის სასახლის მცველები, უნდა მოეტაცა სულთანი გამიდი, ჩაესვა ადრევე დამზადებულ ხომალდში და მცირე აზიისაკენ უნდა გაესტუმრებინაო. როგორც ისმის, სულეიმან-ფაშას უეჭველად გაამტყუნებენ, რადგან სასამართლოს თავსმჯდომარედ იმისი მტერია—მეჰმედ-ალი-ფაშა.

განცხადებანი

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან.

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ 24 მაისს იმის თანადასწრებით გამგეობაში დანიშნულია ვაჭრობა 5 წლით იჯარით მისაცემად ქალაქის საკუთარი მიწისა, სულ 600 ოთხ-კუთხი საჟენის, რომელიც მდებარებს მეორე განყოფილების მე-10 უჩასტკაში, მტკვრის პირველ ჩასავალთან, ერისთვის სახლის პირ-და-პირ. სამზღვრები ამ ადგილისა: ჩრდილოეთით ვორონცოვის წყლის-ბაზარი ქუჩა, აღმოსავლეთითა და სამხრეთით მდ. მტკვარი და დასავლეთით ისარლოვების მამული. (3—3)

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა გამოიხმობს მსურველთა, ვისაც ნებავთ თავის სახლი მიაქირაოს ქალაქს ცხენოსანი ჟანდარმების კაპანდისათვის, სამი წლის ვადით. მსურველთა ამ 25 მაისამდინ უნდა გამოაცხადონ ქალაქის გამგეობაში—თუ როგორ ეღირება იმათი სახლი წელიწადში. უნდა იყვეს შვიდი ოთახი, ორი სადგომი, ერთი სამზარეულო, ერთი სარდაფი, ერთი სარაიათივისათვის, ერთი კანუშნა 12 ცხენისათვის და ეზო დაახლოვებით 300 ოთხკუთხ საჟენამდინ.... (3—3)

გამოვიდა და ისყიდება
„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“
კომედია ალ. თუთაევისა

ისყიდება: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ კუზმანაშვილთან, ქარელს—დავით ქეროჩაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუბნის უჩასტკაში, სურამს—ზაქარია არუწოვთან, ქუთაისს—იაკობ ოჰანეზოვთან და სვ. ცერაძესთან, ფოთში—ელისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, გორში—სტ. ზომოევთან და თვითონ ავტორთან.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი. . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 17 მაისს.		
ფქვ. თ. თ. განჯისა, ფთ.	1	40
ფქვილი წითელი . .	1	30
ქერი ფუთი . . .	1	20
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	50
— ამერიკისა, ფუთი . .	8	50
გაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფთ.	7	50
—თარაქამისა ფთ. .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი. . .	5	50
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	13	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	81
— ცხვრისა, ლიტრა .	—	81
სპირტი, ვედრო . .	5	20
შაქარი, გროც. ფუთი .	8	30
— ფხვნილი ფუთი . .	6	40
ყავა გრგვალი, გირვ.	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	—
თამბაქო, საშუალო ფუთი	8	50

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაიდანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

ორშაბათს: ქიუჩარიანცი—ხირურგი, გრალევიჩი—შინაგ. ავათმყ.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და გახუტოვი—ბებიაობის თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ. გავრინსკი—ქალის და ობრეხტი—კბილის.

პარასკევს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარიანცი.

შაბათს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკიტი—გულის და ნერვების.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Мая 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორის. მესხი.